

საქართველოში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები სკოლამდელი განათლების აღმზრდელებისთვის

ნინო ჯიჯავაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა ჯანელიძე, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჯიჯავაძე

6 ივლისი.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში სკოლამდელი განათლების აღმზრდელებისთვის არსებული საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა. კვლევის ფარგლებში განხორციელდა აღნიშნული პროგრამების იდენტიფიცირება, შესწავლა და მათი ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან და ადგილობრივი საბავშვო ბაღის მასწავლებლების პროფესიულ საჭიროებებთან მიმართებაში. კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდით და მოიცავდა საქართველოს იმ უნივერსიტეტებს, სადაც ხორციელდება აღნიშნული სასერტიფიკატო პროგრამა, ასევე შესწავლილ იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორადი (დამატებითი) პროგრამა (საბაკალავრო საფეხური). მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: ინტერვიუ უნივერსიტეტების სასერტიფიკატო პროგრამების ხელმძღვანელებთან და ტრენერებთან, ფოკუს ჯგუფები პროგრამების მონაწილეებთან და ბაღების დირექტორებთან და პროგრამების შინაარსების ანალიზი.

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ როგორც ილიას უნივერსიტეტის მეორადი (დამატებითი) პროგრამის, ასევე სასერტიფიკატო პროგრამები უცხოური უნივერსიტეტების პროგრამებთან მიმართებაში საჭიროებს შინაარსობრივ გამდიდრებას სხვადასხვა მიმართულებით. პროგრამების შინაარსები ძირითადად ეფუძნება ქართული წყაროებს: საკანონმდებლო დოკუმენტებსა და ქართველი ავტორების მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს და მხოლოდ რამოდენიმე კურსი მოიცავს ქართულთან ერთად უცხოურ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებს.

პროგრამები ნაწილობრივ ასახავს ადგილობრივი ბაღების აღმზრდელების პროფესიულ საჭიროებებს და ამასთან ერთად არ გულისხმობს მონაწილეთა მიერ პროფესიულ პრაქტიკას საბავშვო ბაღებში (გარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასერტიფიკატო პროგრამისა). რაც შეეხება სასერტიფიკატო კურსებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასერტიფიკატო კურსი შედარებით მრავალფეროვანია თემატიკით და არ შემოისაზღვრება მხოლოდ ადგილობრივი საკანონმდებლო

დოკუმენტებისა და პროგრამების გაცნობით. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები არსებული პროგრამების გაუმჯობესებისთვის.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ბალის აღმზრდელი, აღმზრდელის განათლება, სკოლამდელი განათლება, აღმზრდელის კვალიფიკაცია.

მადლობა

კვლევაში მონაწილეობისთვის და გაწეული თანადგომისთვის მადლობას ვუხდით ქუთაისის ა.წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასერტიფიკატო პროგრამების ხელმძღვანელებსა და ტრენერებს, ასევე ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის პროგრამების მონაწილეებს.